ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6488453

ნომერი: AR1968036

თარიღი : 23.05.2023

გაცემის თარიღი : 14.06.2023

გაცნობის თარიღი : 14.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩოლოყაშვილის ქ. I კვარტალი N5ბ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მეგობრობა , N 44-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 26 ივლისის № 5519363 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურს 2023 წლის 23 მაისს AR1968036 განცხადებით მომართა მოქალაქე ზაზა ბასილაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 26 ივლისის №5519363 ბრძანებით დამტკიცებულ მიწისნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებისპირობებში ცვლილებისგანხორციელება, კერძოდ საპროექტო შენობების განთავსების ახალი სქემის და ფუნქციის დამატება.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის96-ე მუხლისთანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვისარსებითი მნიშვნელობისმქონე გარემოებებიდა დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 2021 წლის 26 ივლისის №5519363 ბრძანებით,

ქალაქთბილისში, სექტორი-ისანი, ჩოლოყაშვილის ქ. I კვარტალი №5ბ; ქუჩა მეგობრობა, №44-ის მიმდებარედ (ს/კ №01.17.14.003.633, ფართობი: 18177 კვ.მ.) ღია საცურაო აუზის აშენების მიზნით, დამტკიცდამიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენებისპირობები.
ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაციით იცვლება საპროექტო ობიექტის განთავსების ადგილი და ასევე ემატება ფუნქციაც. წინამდებარე განაცხადითმოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურის 2021 წლის 26 ივლისის №5519363 ბრძანებით დამტკიცებული მიწისნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებშიცვლილების შეტანა, კერძოდ: საპროექტო შენობის განთავსების ახალი სქემის დაფიქსირება და საპროექტო ობიეტად ღია საცურაო აუზი და სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის დაფიქსირება.
„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება2021 წლის 26 ივლისის №5519363 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდმიწის ნაკვეთისგამოყენების პირობებში
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდესცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურის 2021 წლის 26 ივლისის №5519363 ბრძანებით დამტკიცებულმიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენებისპირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად ფუნქციურ დანიშნულების ველში დაფიქსირდეს ღია საცურაო აუზი და სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრი და ასევე დაემატოს საპროექტო შენობისგანთავსების ახალი სქემა.
2. წინამდებარებრძანება განხილულიიქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურის 2021 წლის 26 ივლისის №5519363 ბრძანებებით დამტკიცებულ მიწისნაკვეთის სამშენებლოდგამოყენების პირობებთან ერთად.
3. ბრძანებაშეიძლება გასაჩივრდესქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის მერთან(მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩაN7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისიოფიციალური გაცნობიდანერთი თვისვადაში

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.